

შპს "ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო
ზომის საწარმოებისთვის (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლებისთვის
და
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნებით	7
1 ზოგადი ინფორმაცია	7
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3 მომზადების საფუძველი	7
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
5 არსებითი განუსაზღვრელობა	12
6 ძირითადი საშუალებები	12
7 საინვესტიციო ქონება	13
8 წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	14
9 წინასწარ გადახდილი გადასახადები	14
10 ფული და ფულის ექვივალენტი	14
11 საწესდებო კაპიტალი	15
12 მიღებული სესხები	15
13 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15
14 ამონაგები	16
15 თვითღირებულება	16
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16
17 კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	16
18 პირობითი ვალდებულებები	17
19 ფინანსური რისკების მართვა	17
20 დაკავშირებული მხარეები	17
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	18
მმართველობითი ანგარიშგება	19

ანგარიშგების ბოლო გვერდია 18

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი"-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღებით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აზრად მიჩნეული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღებით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დამფუძნებლისგან დასტურის წერილი და კრების ოქმები საწესდებო კაპიტალის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა ანგარიშგებაში, ასევე ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 42,124,303 ლარზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 40,086,413 ლარზე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 37,886,801 ლარზე და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 36,788,757 ლარზე.

კომპანია 2024 წელს მარაგების ჩამოწერისთვის იყენებს საოპერაციო პროგრამა "OPERA"-ს, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვისთვის პროგრამა "SuperFin"-ს. აღნიშნულ ბაზებს შორის მონაცემები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება თვითღირებულების ღირებულებასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით 2024 წელს 903,084 ლარზე, ხოლო 2023 წელზე ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი ჩამოწერის აქტები 171,891 ლარზე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა ანგარიშგებაში, ასევე ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წელს დარიცხული ხელფასების ხარჯზე სრულად. კერძოდ ჩვენ ვერ მივიღეთ შესაბამისი ხელშეკრულება 2023 წელს 72,360 ლარზე, შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა ანგარიშგებაში საერთო და ადმინისტრაციული ხარჯის მუხლთან მიმართებაში, ასევე ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებასთან დაკავშირებით იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას არ ჰქონდა შეფასება გაკეთებული; შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა ანგარიშგებაში, ასევე ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, კომპანიას დარღვეული აქვს სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხის კოვენანტები. ამასთან, ბანკის მხრიდან არ არსებობს გარანტია, რომ უახლოესი 12 თვის განმავლობაში არ მოითხოვს აღნიშნული მნიშვნელოვანი სესხის დაფარვას. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობე ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე 3-ზე, სადაც აღწერილია, რომ კომპანიამ პირველად მოამზადა ფინანსური ანგარიშგება.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმათ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის შესახებ.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოვავქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს "ხალედი ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
ძირითადი საშუალებები	6	45,326,030	45,856,709	46,112,735	42,779,644
არამატერიალური აქტივები		234,529	101,510	33,558	31,518
საინვესტიციო ქონება	7	1,488,867	1,061,767	1,061,767	1,061,767
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,049,426	47,019,987	47,208,060	43,872,929

მოკლევადიანი აქტივები

მარაგები		68,356	117,307	69,842	669
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	8	509,438	2,399,135	2,881,643	3,419,705
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	-	993,384	2,001,472	2,849,049
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		110,587	36,037	48,582	5,249
ფული და ფულის ექვივალენტი	10	183,635	371,842	19,157	314,078
სულ მოკლევადიანი აქტივები		872,016	3,917,705	5,020,696	6,588,750
სულ აქტივები		47,921,442	50,937,692	52,228,756	50,461,679

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	11	44,929,953	42,892,063	37,886,801	36,788,757
გაუნაწილებელი მოგება	11	(14,375,425)	(10,824,489)	(5,143,831)	(5,551,031)
სულ კაპიტალი		30,554,528	32,067,574	32,742,970	31,237,726

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები

მიღებული სესხები	12	14,375,410	17,013,823	17,253,698	17,899,713
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,375,410	17,013,823	17,253,698	17,899,713

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	392,068	365,024	218,261	4,592
მიღებული სესხის მიმდინარე ნაწილი	12	2,505,026	1,491,271	2,013,827	1,319,648
გადასახდელი გადასახადები		94,410	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,991,504	1,856,295	2,232,088	1,324,240
სულ ვალდებულებები		17,366,914	18,870,118	19,485,786	19,223,953
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,921,442	50,937,692	52,228,756	50,461,679



დირექტორი

გრიგოლ კუნჭულაძე

შპს "ხალედი ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

17 ნოემბერი, 2025

შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

თანხები მოცემულია ლარში

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	14	4,906,503	3,361,567	44,436
თვითღირებულება	15	(3,973,094)	(3,125,545)	(5,343)
საერთო მოგება		933,409	236,022	39,093
სხვა შემოსავლები	7	428,063	433	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(4,037,143)	(3,829,416)	(2,087,408)
სხვა ხარჯები		(17,481)	(17,153)	-
საოპერაციო (ზარალი)		(2,693,152)	(3,610,114)	(2,048,315)
ფინანსური ხარჯი	13	(1,115,281)	(1,439,488)	(1,111,577)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	17	277,926	(611,804)	3,567,092
მოგება დაბეგვრამდე		(3,530,507)	(5,661,406)	407,200
მოგების გადასახადი		(20,429)	(19,253)	-
პერიოდის მოგება		(3,550,936)	(5,680,658)	407,200
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარჯი)		(3,550,936)	(5,680,658)	407,200

დირექტორი
გრიგოლ კუნჭულია



შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი"

17 ნოემბერი, 2025

შპს "ხალედი ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 01 იანვარი	11	36,788,757	(5,551,031)	31,237,726
შენატანი კაპიტალში		1,098,044	-	1,098,044
კაპიტალის შემცირება		-	-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	407,200	407,200
2023 წლის 01 იანვარი	11	37,886,801	(5,143,831)	32,742,970
შენატანი კაპიტალში		5,005,263	-	5,005,263
კაპიტალის შემცირება		-	-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(5,680,658)	(5,680,658)
2023 წლის 31 დეკემბერი	11	42,892,064	(10,824,489)	32,067,574
შენატანი კაპიტალში		2,037,889	-	2,037,889
კაპიტალის შემცირება		-	-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(3,550,936)	(3,550,936)
2024 წლის 31 დეკემბერი	11	44,929,953	(14,375,425)	30,554,528

დირექტორი

გრიგოლ კუნჭულაძე



შპს "ხალედი ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

17 ნოემბერი, 2025

შპს "ხალედი ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		5,743,936	3,920,618	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები		(3,413,035)	(2,910,933)	(328,283)
გადახდილი ხელფასი და ფ/პ მომსახურება		(1,652,264)	(1,536,388)	(464,879)
დაბრუნებული / (გადახდილი) გადასახდელები		(50,843)	(32,730)	1,364,102
სხვა ხარჯები		(54,831)	(31,020)	(7,401)
სხვა შემოსავალი		3,245	-	-
კონვერტაციის შედეგად მიღებული / (გადახდილი) ფულადი სახსრები		(7,806)	(19,644)	(17,999)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		568,402	(610,097)	545,540
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
საინვესტიციო ქონებიდან მიღებული ფულადი სახსრები		49,030	44,259	57,149
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(405,383)	(1,294,334)	(4,516,349)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(356,352)	(1,250,075)	(4,459,200)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალში თანხის შეტანა	11	2,037,889	5,005,263	1,098,044
მიღებული სესხი	12	5,000	-	3,740,931
სესხთან დაკავშირებული ხარჯები	12	(2,444,592)	(2,788,253)	(1,111,577)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(401,702)	2,217,010	3,727,398
ფული და ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	10	(189,653)	356,837	(186,262)
ფული და ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი	10	371,842	19,157	314,078
საკურსო სხვაობის შედეგი ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე		1,446	(4,152)	(108,659)
ფული და ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	10	183,635	371,842	19,157

დირექტორი
გრიგოლ კუნჭულია

შპს "ხალედი ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

17 ნოემბერი, 2025

1 ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი"-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც "კომპანია") ინფორმაციას.

შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი" (ს/კ:445483343) დაფუძნდა 2016 წლის 19 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, აბაშიძის ქ., №21ა / ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024), სართული 7-8,ბ16

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სასტუმროს მომსახურების გაწევასა და საინვესტიციო ქონების იჯარით გაცემას.

კომპანიის 100% წილის მლობელი არის, ალრაჯი ხალედი სალუკ ა (1022627259, U034915); (საუდის არაბეთი).

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საოპერაციო გარემო, რეგულირდება ტურიზმის, მომსახურებისა და უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით. ასეთი კომპანიის საქმიანობა მოიცავს სტუმრების მიღებას, განთავსებას, მომსახურებასა და მათთვის დამატებითი სერვისების შეთავაზებას, რაც მოითხოვს ეფექტურ ადმინისტრაციულ პროცესებს, თანამედროვე ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და კვალიფიციური პერსონალის ჩართულობას. სასტუმროს ოპერაციები დიდწილად ეფუძნება ტურისტულ სააგენტოებთან, სატრანსპორტო კომპანიებთან და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობას, ასევე ბუკინგის პლატფორმებზე წარმოდგენილობასა და მომხმარებელთა კმაყოფილების უზრუნველყოფას.

სასტუმროს წარმატებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული ტურისტული გარემოსა და ლოკაციის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება. იგი ახორციელებს ოთახების მენეჯმენტს, რესტორნისა და დამატებითი სერვისების ორგანიზებას, ღონისძიებების მართვასა და საერთაშორისო ვიზიტორებთან კომუნიკაციას. საოპერაციო გარემო ამ კომპანიისთვის ხასიათდება მაღალი კონკურენციით, რაც განაპირობებს საჭიროებას, მუდმივად გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი, დაწეროს ინოვაციური მიდგომები და უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

3 მომზადების საფუძველი

კომპანიამ პირველად მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია მსს ფასს სტანდარტების-ის ყველა სავალდებულო მოთხოვნა, რომლებიც მოქმედებდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს). კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით და, საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ძირითადი საშუალებები მოიცავს აქტივებს სამომავლო გამოყენებისთვის.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მოსალოდნელი ხარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოხმარდება კომპანიას და აქტივის ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ძირითადი საშუალებები

ცვეთა: ძირითადი საშუალებების კატეგორიებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მათი ხარჯი განაწილდეს ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა
	შენობა - ნაგებობები 20-50 წელი
	ოფისის აღჭურვილობა 1-7 წელი
	მანქანა დანადგარები 10 წელი
	ავეჯი და სხვა ინვენტარი 2-10 წელი

4.2 არამატერიალური აქტივი

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპანიის ბუღალტრული პროგრამა და ლიცენზიები, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 7 წლის გაანგარიშებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.3 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო მატერიალური ფასეულობის შემთხვევაში გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს.

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ეს ნიშნავს, რომ აღიარების მომენტი იწყება იმ დროს, როდესაც კომპანიას ენიჭება სამართლებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. სახელშეკრულებო პირობების მონაწილეობის შედეგად, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოჩნდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შესაბამისი პირობებით, რაც განსაზღვრავს მის შემდგომ აღიარებას, გაზომვას და ანგარიშგებას.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება იმ დროს, როდესაც კომპანიის მიერ ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან როდესაც კომპანია გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ ძირითად რისკებსა და სარგებელს მესამე მხარეს. ამ პროცესში გათვალისწინებულია, რომ აქტივის გადაცემის შედეგად, კომპანია ვეღარ აკონტროლებს მის გამოყენებასა და ფინანსურ სარგებელს. რაც შეეხება ფინანსურ ვალდებულებებს, მათი აღიარება წყდება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება ან მის სამართლებრივ ძალას ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება მათი რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ყველა პირდაპირი ხარჯი. ეს ხარჯები შეიძლება მოიცავდეს საკონსულტაციო, საბანკო ან სხვა მომსახურების გადასახადებს, რომლებიც აუცილებელია გარიგების წარმატებით განხორციელებისთვის. მის ფასს -ის მოდული 11-ის მიხედვით, რეალური ღირებულების აღიარება და შემდგომი გაზომვა უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს და ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების სამართლიან ასახვას კომპანიის ბალანსში.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამოძწევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

(ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

(ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;

(გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

(ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივებისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

4.6 ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები მოიცავს ფულს, ბანკებში შენახულ დეპოზიტებსა და სხვა მოკლევადიანი მაღალი ლიკვიდობის ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა წარმოადგენს არაუმეტეს სამ თვეს. შეზღუდული ფული არ არის შეტანილი ფულად სახსრების და ეკვივალენტებთან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის. ფულის და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში შედის ნაშთები, რომლებზეც არის გაცვლის შეზღუდვა ან რომლებიც გამოიყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ის ძირითადი ვალუტა, რომელშიც ერთეული ოპერირებს. კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ანგარიშსწორებით მიღებული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

2024 წლის 31 დეკემბერს, დოლარში არსებული ნაშთის კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი ((2023 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი; 2022 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი; 2022 წლის 1 იანვარი: 1 აშშ დოლარი = 3.0892 ლარი) და 1 ევრო = 2.9306 (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 ევრო = 2.9753 ლარი; 2022 წლის 31 დეკემბერი: 1 ევრო = 2.8844 ლარი; 2022 წლის 1 იანვარი: 1 ევრო = 3.4991 ლარი).

4.7 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი გამოცხადების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

4 მირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.8 საშემოსავლო და მოგების გადასახადი

საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ამოქმედებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) შეუძლიათ არ გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე მანამ, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით. საშემოსავლო გადასახადი 15%-ის ოდენობით გადასახდელია მთლიანი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გამოითვლება 5% გადასახადის დაკავებით და იყოფა 0,85-ზე) ფიზიკურ ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემისას. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს მთლიანი ღირებულებით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება, როგორც დეკლარირებული და გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის წილი დაბეგვრის მოგებაზე მთლიან წმინდა მოგებასთან შედარებით. იგივე პერიოდი გამრავლებულია გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილების ფაქტობრივ საშემოსავლო გადასახადს.

საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღირიცხება, როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადებულია დივიდენდები, გადახდის თარიღის ან პერიოდის მიუხედავად, როდესაც გაიცემა დივიდენდები. კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასახა შესაბამისი გავლენა მოგება-ზარალში 2016 წელს. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ სუბიექტებთან სხვა გარკვეული ტრანზაქცია, აგრეთვე ფიზიკური ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათების, მიღებულ იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, რომლებსაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან ანაზღაურება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხებისა, აღირიცხება სხვა გადასახადებში, გარდა შემოსავალზე, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. დამატებული ღირებულების გადასახადი. რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისათვის, მაშინ, როდესაც ქვემოთ მოცემული ორი ოპერაციიდან პირველი განხორციელდება ა) მომხმარებლებისაგან თანხის მიღება ან ბ) მომხმარებლებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება. ჩასათვლელი დამატებული ღირებულების გადასახადი და გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადის ურთიერთჩათვლა ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის ინვოისის მიღების შემდგომ. საგადასახადო ორგანოები ნებას იძლევიან დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა განხორციელდეს ნეტო ოდენობით. მირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ გადავადდება 5-დან 10 წლამდე იმ სუბიექტებისთვის, რომელთა ბრუნვის 20%-ზე მეტი გათავისუფლებულია დღგ-სგან გამოქვითვის უფლების გარეშე. სადაც ანარიცხები გაკეთდა დებიტორულ დავალიანებაზე, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი ღირებულებით, დღგ-ს ჩათვლით.

4.9 მიღებული სესხები

კომპანიას სესხები მიღებული აქვს ბანკისგან, რომელიც აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.10 შემოსავლის აღიარება

მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც სერვისი რეალურად მიეწოდება. ჩვეულებრივ, შემოსავალი აღიარებულია თითოეული ღამის გათენებისას ან მომსახურების გაწევისას (მაგალითად, კვება, ღონისძიების ორგანიზება, სპა მომსახურება). თუ სასტუმრო წინასწარ იღებს თანხას, იგი აღირიცხება როგორც მიღებული ავანსი და შემოსავალში გადადის მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც მომსახურება ფაქტობრივად გაიწევა.

4.11 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას გააჩნია იურიდიული ვალდებულება გადაიხადოს საპენსიო შენატანები.

5 არსებითი განუსაზღვრელობა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანიაში არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით, ვინაიდან კომპანიას სს „თიბისი ბანკისგან“ აღებული აქვს სესხი, რომლის მოთხოვნის კოვენანტები დარღვეულია. ამასთან, ბანკის მხრიდან არ არსებობს გარანტია, რომ უახლოესი 12 თვის განმავლობაში არ მოითხოვება აღნიშნული სესხის დაფარვა. აღნიშნული გარემოება ქმნის არსებით განუსაზღვრელობას, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის უწყვეტი საქმიანობის პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების შესაძლებლობაზე.

6 ძირითადი საშუალებები

პირვანდელი ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	მიწა	შენობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	17,613,652	15,160,843	10,829,764	2,335,371	173,962	46,113,591
დამატება	-	-	-	1,392,975	64,497	1,457,471
გაწეული ხარჯების კაპიტალიზაცია	2,858,844	-	18,126	-	-	2,876,970
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,472,496	15,160,843	10,847,890	3,728,345	238,459	50,448,033
დამატება	-	-	-	809,355	31,251	840,605
გასვლა	-	-	-	(6,707)	-	(6,707)
გაწეული ხარჯების კაპიტალიზაცია	749,555	-	235,188	-	-	984,742
შიდა მოძრაობა	(21,222,050)	-	21,222,050	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	15,160,843	32,305,128	4,530,993	269,710	52,266,673
დამატება	-	-	10,779	142,702	67,314	220,795
გაწეული ხარჯების კაპიტალიზაცია	-	-	1,694,772	-	-	1,694,772
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	15,160,843	34,010,679	4,673,695	337,024	54,182,240

6 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მიწა	შენობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(2,908,923)	(354,468)	(70,556)	(3,333,947)
პერიოდის ცვეთა	-	-	(538,151)	(432,306)	(30,893)	(1,001,351)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(3,447,074)	(786,775)	(101,449)	(4,335,298)
პერიოდის ცვეთა	-	-	(1,329,294)	(700,720)	(44,652)	(2,074,666)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(4,776,368)	(1,487,495)	(146,101)	(6,409,964)
პერიოდის ცვეთა	-	-	(1,632,625)	(772,804)	(40,816)	(2,446,246)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(6,408,993)	(2,260,299)	(186,917)	(8,856,209)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	17,613,652	15,160,843	7,920,841	1,980,903	103,407	42,779,644
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,472,496	15,160,843	7,400,816	2,941,571	137,010	46,112,735
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	15,160,843	27,528,760	3,043,498	123,609	45,856,710
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	15,160,843	27,601,686	2,413,396	150,106	45,326,030

სასტუმროს შენობა ნაგებობა (ლესელიძის 15) დატვირთულია იპოთეკით ხოლო ოფისი - აბაშიძის 21 დატვირთულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით. „საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა“ ნიშნავს, რომ შემოსავლების სამსახურმა დააწესა გირავნობა (იპოთეკა) ამ ქონებაზე, როგორც უზრუნველყოფის საშუალება გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებების გამო.

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს საკუთარი გამოყენებისათვის გამიზნული უძრავი ქონების აშენების, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციას.

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება

7 საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონება წარმოადგენს შენობა ნაგებობას, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მისაღებად და არა წარმოების, მომსახურების მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

საწარმო საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარეს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან. ყოველი საანგარიშგებო თარიღის ბოლოს კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანიას საინვესტიციო ქონების შეფასება გაკეთებული აქვს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საინვესტიციო ქონების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების ნაშთი შეადგენს 1,488,867 ლარს, 2023 წლის 1,061,767 ლარს; (2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვარს ნაშთი შეადგენს 1,061,767 ლარს).

შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანიი"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის
თანხები მოცემულია ლარში

7 საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

შეფასების შედეგად მიღებული ცვლილება 428,063 ლარი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა შემოსავლის მუხლში.

საინვესტიციო შენობა ნაგებობა დატვირთულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით.

8 წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
ძირითადი საშუალების შეძენისთვის წინასწარ გადახდილი	381,975	341,975	341,975	246,194
საკონსულტაციო მომსახურებისთვის წინასწარ გადახდილი	76,914	69,113	86,011	545,002
უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის წინასწარ გადახდილი	17,721	16,921	17,370	98,903
კონტრაქტორისთვის წინასწარ გადახდილი თანხა	-	1,824,691	2,321,188	2,276,349
უნიფორმებისთვის და სპეცტანსაცმლისთვის წინასწარ	-	101,950	14,460	-
სხვა წინასწარ გადახდილი თანხა	32,828	44,485	100,639	253,256
ჯამი	509,438	2,399,135	2,881,643	3,419,705

9 წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები წარმოადგენს კომპანიის მიერ შემოსავლების სამსახურისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს, რომლებიც გამოყენებული იქნება შესაბამისი გადასახადების დასაფარად შემდგომ პერიოდში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია საგადასახადო აქტივი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 993,384 ლარს; (2022 წლის 31 დეკემბერი 2,001,472 ლარი; 2022 წლის 1 იანვარი 2,849,049 ლარი).

10 ფული და ფულის ექვივალენტი

ვალუტა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
ქართული ლარი	25,584	75,055	17,686	67,838
აშშ დოლარი	152,870	295,269	1,356	72,220
ევრო	5,140	1,500	98	173,999
შვეიცარიული ფრანკი	18	18	18	21
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	24	-	-	-
ჯამი	183,635	371,842	19,157	314,078

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წარმოადგენს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	7,861	3,246	623	1,280
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	17,723	71,809	17,063	66,558
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	158,051	296,787	1,471	246,240
ჯამი	183,635	371,842	19,157	314,078

შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანიი"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის
თანხები მოცემულია ლარში

11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალი 2024 წელს გაიზარდა 2,037,889 ლარით, 2023 წელს - 5,005,263 ლარით, ხოლო 2022 წელს 1,098,044 ლარით; 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 44,929,953 ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 42,892,063 ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 37,886,801 ლარს ხოლო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 36,788,757 ლარს

12 მიღებული სესხები

სესხის ნაშთი 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	19,219,361
ძირის დამატება	3,740,931
დარიცხული პროცენტი	1,111,577
გადახდილი პროცენტი	(1,111,577)
კუსთაშორის სხვაობის შედეგი	(3,692,767)
სესხის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,267,525
დარიცხული პროცენტი	1,439,488
გადახდილი პროცენტი	(1,439,488)
გადახდილი ძირი	(1,348,765)
კუსთაშორის სხვაობის შედეგი	586,334
სესხის ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,505,094
დარიცხული პროცენტი	1,115,281
გადახდილი პროცენტი	(1,120,281)
გადახდილი ძირი	(1,324,311)
კუსთაშორის სხვაობის შედეგი	(295,347)
სესხის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,880,436

კომპანიამ სს თიბისი ბანკთან 2019 წლის 08 აგვისტოს გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ხელშეკრულება 5,430,000 ევროს ოდენობის გრძელვადიანი აქტივების ფინანსირების მიზნით. წლიური საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის 28 თებერვლამდე იყო ცვლადი წლიურ 5.8%-ს დამატებული 6 თვიანი Euribor-ის განაკვეთის ცვლილება, ხოლო 2023 წლის 28 თებერვლიდან საპროცენტო განაკვეთი გახდა ფიქსირებული და შეადგინა 7.8%. სესხის ვადა სრულდება 2034 წლის 8 მარტს.

13 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	01-იან-2022
სავაჭრო ვალდებულებები	389,279	363,311	218,261	4,592
გადასახდელი ხელფასი	217	-	-	-
სხვა ვალდებულებები	2,572	1,712	-	-
ჯამი	392,068	365,024	218,261	4,592

შპს "ხალედი ალრაჯი ჰოლდინგ კომპანი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის

თანხები მოცემულია ლარში

14 ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	4,395,766	2,893,892	-
შემოსავალი სარესტორნე მომსახურებიდან	433,807	320,500	-
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	41,700	40,284	44,436
სხვა საოპერაციო შემოსავალი	35,229	106,891	-
ჯამი	4,906,503	3,361,567	44,436

15 თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
სახარჯი მასალა	903,084	635,443	5,343
ხელფასის ხარჯი	701,817	592,094	-
ცვეთის ხარჯი	1,831,450	1,386,562	-
კომუნალური ხარჯი	456,825	428,680	-
სხვა ზედნადები ხარჯი	79,919	82,766	-
ჯამი	3,973,094	3,125,545	5,343

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
ხელფასის ხარჯი	1,743,881	1,465,222	512,059
ცვეთა და ამორტიზაცია	614,795	688,104	1,001,351
ჯავშნის საკომისიო ხარჯი	523,363	439,886	-
საგადასახადო ხარჯი	327,384	324,038	305,458
სასტუმროს მართვის საკომისიო	258,969	180,789	-
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	93,905	115,186	33,849
საბანკო ხარჯი	92,607	65,226	4,715
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	41,908	28,369	31,263
მარკეტინგის ხარჯი	25,945	33,713	3,422
იჯარის ხარჯი	16,604	5,801	-
დაცვის ხარჯი	10,800	10,571	-
საკანცელარიო ხარჯი	6,528	28,267	2,029
რემონტის დანახარჯი	2,749	82,062	947
კომუნალური ხარჯი	-	-	81,313
ოთახის მომსახურების ხარჯი	-	-	18,131
სხვა ხარჯი	277,704	362,183	92,871
ჯამი	4,037,143	3,829,416	2,087,408

17 კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)

	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	303,092	40,150	3,701,919
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(25,166)	(651,954)	(134,827)
წმინდა ეგვიპტი	277,926	(611,804)	3,567,092

18 პირობითი ვალდებულებები

18.1 სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანია არ არის ჩართული სასამართლო დავებში.

18.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. შესაბამისმა საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა დაიწუნონ ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის და საქმიანობისთვის განხორციელებული ტრანზაქციების ინტერპრეტაცია. საგადასახადო ორგანოები ხშირად იკავებენ უფრო მტკიცებით პოზიციას კანონმდებლობის და შეფასებების ინტერპრეტირებისას. შედეგად, შესაძლებელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და პროცენტების დაწესება.

19 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ფინანსური რისკების მართვის მიზანია უზრუნველყოს სტაბილური ფულადი ნაკადები და დაიცვას აქციონერთა ინტერესები. ძირითადი პოლიტიკა მოიცავს:

- საკრედიტო რისკის მართვისათვის მომხმარებელთა საკრედიტო ლიმიტების დაწესებას;
- მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფას;
- სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების რისკების მართვისთვის ჰეჯირების სტრატეგიების პერიოდულ გადახედვას.

20 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

20 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

თუ ანაგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამკვეთებზეც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავე საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.12.2024)	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
--	-------------------------------

სხვა დაკავშირებული მხარე	998
--------------------------	-----

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.12.2023)	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
--	-------------------------------

სხვა დაკავშირებული მხარე	3,714
--------------------------	-------

2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა ნაშთები, დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი
--	----------------

უმაღლესი ხელმძღვანელობა	197,128
-------------------------	---------

2023 წლის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი
--	----------------

უმაღლესი ხელმძღვანელობა	234,318
-------------------------	---------

2022 წლის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი
--	----------------

უმაღლესი ხელმძღვანელობა	186,947
-------------------------	---------

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის 12 მარტს კომპანიის დამფუძნებელმა საწესდებო კაპიტალში შეიტანა 334,728 ლარი და 2025 წლის 30 მაისს შეიტანა 68,191 ლარი.

2025 წლის 10 ნოემბერს, კომპანიამ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება რომლის საფუძველზეც, შპს ხალედი ალრაჯი ჰოლდინგმა გაყიდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 1,050,000 აშშ დოლარად.

ბალანსის შემდგომ პერიოდებში არ ყოფილა სხვა მოვლენები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით გამჟღავნებას ან კორექტირებას მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

*** დოკუმენტის დასასრული ***

შპს "ხალედი ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი"

მმართველობითი ანგარიშგება

მართველობის ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

შპს ხალედ აღრაჯპი ჰოლდინგ კომპანი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 19 აპრილს, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, აბაშიძის ქ., №21ა / ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024), სართული 7-8, ბ. 16

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმროს მომსახურების მიწოდება. შპს ხალედ აღრაჯპი ჰოლდინგ კომპანიის საკუთრებაში არსებულ შენობაში, რომელიც განთავსებულია ქ თბილისი კოტე აფხაზის N15 ნომერში ფუნქციონირებს სასტუმრო GLARROS OLD TOWN, სასტუმროს ნომრების რაოდენობა შეადგენს 78-ს, ასევე შენობის პირველ სართულზე განლაგებულია ქართული რესტორანი.

შპს ხალედ აღრაჯპი ჰოლდინგ კომპანიის საკუთრებაშია საქართველო, ქ. თბილისი, აბაშიძის ქ., №21ა / ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024), სართული 7-8, ბ. 16 მდებარე ოფისი, ქ თბილისი გია აბესაძის ქ N2 ში მდენარე საინვესტიციო ქონება, რომელიც შენობის დაზიანებამდე გაქირავებული იყო, ასევე ქალაქი თბილისი , მირზა შაფის ქუჩის ქვედა ფერდზე მდებარე მიწა.

სასტუმროს შენობა თავისი განსაკუთრებული დიზაინითა და არქიტექტურით, ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნოებადაა ქცეული. მის უნიკალურობას ისიც უსვამს ხაზს, რომ პროექტი ექსკლუზიურად შეიქმნა და მის ანალოგს ვერსად შეხვდებით. სასტუმრო კომპლექსი 4 სართულს მოიცავს, რაც მას კიდევ უფრო კომფორტულსა და მყუდროს ქმნის. კომპანიის სტრატეგია და მიზნები წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. კომპანიის დამფუძნებლებისა და მენეჯმენტის სურვილია, კიდევ უფრო განავითარონ კომპანია. კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და შესაბამისად ცდილობს მიუსადაგოს თავისი სტანდარტები თანამედროვე მოთხოვნებს.

კომპანიას ფილიალი აქვს ერთი, რომელიც მდებარეობს კოტე აფხაზის 15 ნომერში.

კომპანიის მენეჯმენტი, აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან, სასტუმრო გაწვევრიანებულია მსხვილ საერთაშორისო დაჯავშნის პორტალებზე. ასევე სასტუმროს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციებთან. სთავაზობს მათ მათთან ჩამოსული სტუმრებისთვის სასტუმრო, საკონფერენციო თუ სარესტორნო მომსახურების გაწევას. სასტუმრო ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა საერთაშორისო, სპორტულ და პოლიტიკურ ღონისძიებებს. კომპანიის სასტუმროში არსებული რესტორნები მომსახურებას უწევენ როგორც სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზების სტუმრებს, ასევე ნებისმიერ მსურველს. ასევე საკმარისზე მეტად გაჯერებულ სარესტორნო მომსახურების ბაზარზე კომპანია თავის დამკვიდრებას ცდილობს

ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციისგან, პროფესიონალი მზარეულების მიერ დამზადებული კერძების საშუალებით.

წარმოებული კვლევები

კომპანიას 2023-2024 წლებში არ უწარმოებია კვლევები.

განვითარების გეგმა

შპს ხალედ აღრაჯჰი ჰოლდინგ კომპანიი აწარმოებს მოლაპარაკებებს ჰილტონის ბრენდის ქვეს საქმიანობის შესახებ. მოლაპარაკებები თითქმის დასრულებულია და გააფორმებს ხელშეკრულებას ჰილტონის ფრანჩიზას გამოყენების შესახებ.

აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაიზრდება ნომრის სარეალიზაციო ფასები და შესაბამისად შემოსავლები, კომპანია იზრუნებს თანამშრომლების კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროს პოზიციონირებაზე, მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე, მიაღწევს უფრო ფართო საერთაშორისო ბაზარებს, მოიზიდავს უფრო ფართო მაღალმხარკველუნარიან მოგზაურებს, იქნება მსოფლიო ცნობადობის დონეზე და ა. შ. ამას გარდა მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა ბაზრების დივერსიფიკაციაზე და ახალი წყაროების აღმოჩენაზე.

კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

შპს ხალედ აღრაჯჰი ჰოლდინგ კომპანიი, ისევე როგორც სხვა კომერციული საქმიანობის მქონე იურიდიული პირები, ორიენტირებულია მოგებაზე, ბიზნესის განვითარებაზე და საქმიანობის მიმართულებების დივერსიფიცირებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კომპანიის მიზანია კონკურენტულ ბაზარზე ლიდერი პოზიციების მოპოვება. ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს 2024 2023 სასტუმროს ამონაგების წილი მთლიან შემოსავალში 90-95% შეადგენს, სასტუმრო მომგებიანობის მარჟა 30%-25%, ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1.0-0.8 სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.4-0.2, უკუგება საინვესტიციო ქონებაზე 13%

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მაჩვენებლები გაიანგარიშება ქვემოთ მოცემული ფორმულების გამოყენებით. სასტუმროს მომგებიანობის მარჟა - სასტუმროს მთლიანი მოგება გაყოფილი სასტუმროს ამონაგებზე.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი - მიმდინარე აქტივები გარდა მარაგებისა გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

უკუგება საინვესტიციო ქონებაზე - საინვესტიციო ქონებიდან მიღებული ამონაგები გაყოფილი საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებაზე.

საანგარიშგებო პერიოდში სასტუმროს კოეფიციენტები შესადარის პერიოდთან მიმართებით გაუმჯობესებულია რაც განპირობებულია სასტუმროს კარგი მდებარეობიდან გამომდინარე ფასის ზრდით.

2024 წელს სასტუმროს საქმიანობა დასტაბილურდა და დაიწყო გაუმჯობესება, რაც გამოიხატა გაზრდილ შემოსავლებში.

კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

შპს ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 19 აპრილს, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, აბაშიძის ქ., №21ა / ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024), სართული 7-8, ბ. 16 კომპანიის 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს ალრაჯჰი, ხალედ სალექ ა.

კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

ა) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

ბ) ფინანსური განყოფილება;

გ) გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილება;

დ) კვებისა და სასმელების განყოფილება;

ე) შესყიდვების განყოფილება

ვ) ტექნიკური დეპარტამენტი;

ზ) უსაფრთხოების დეპარტამენტი

ი) იურიდიული დეპარტამენტი.

კომპანიაში დასაქმებულია დაახლოებით 60-70 თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანიის მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე

ინფორმაცია აქციების შესახებ

კომპანიას არ აქვს სააქციო კაპიტალი, შესაბამისად არ აქვს გამოშვებული აქციები. ასევე კომპანიას არ შეუსყიდია აქციები 2023 – 2024 წლებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი. საოპერაციო რისკები ძირითადად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებისა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია ცოცხალი დაცვა, სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით. სტუმრებისთვის მაღალი ხარისხის საკვების და სასმელის მისაწოდებლად სასტუმრო თანამშრომლობს სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომლებსაც შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ. რისკის იდენტიფიცირება: ასევე ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს სასტუმროს რეპუტაციის ზრდასა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი ღონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ფინანსური რისკები

კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლსა და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია

განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე მომსახურების მიწოდება ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

სავალუტო რისკის სამართავად კომპანია იყენებს სასტუმროს ნომრების ფასწარმოქმნის პოლიტიკას. ფასები იცვლება ვალუტის კურსის ცვლილების გათვალისწინებით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ნოემბერს.

დირექტორი
გრიგოლ კუნჭულია

